

„ნასამაჟისაჲსი შოხობისს...“
 სახელთ ბევრი მაგალითი იმ ადამიანთა დანაშაულებრივი მოქმედებასა, რომ-
 ლეიც, ნივთების შეძენის წილას ატანილი არაერთად მძრავურ აკრძალვებს
 არ ერღებიან

საქართველო
 ბიზ-პროექტი



ნახ ა კანდელაკისა

შენი მონა ვაკარ, შენზედ გლოცველიი!..

საქართველო

22

1980

ზაფხული ზაფხულობდა ზომავზე
მეტად: გვალვა ცეცხლის თვალში ატარებდა
ვას.

მაშინ იყო, რომ სრულიად საქართველო
აღსდგა გვალვასთან საბრძოლველად: ქალაქი
თუ სოფელი, ქალი თუ კაცი. დავალებას ვიღებ:
საჭიროა რეპორტაჟი კახეთიდან. თემა:
რწყვის ორგანიზება, გვალვის ძლევა.

კვირის თავზე გავალნიე ქალაქიდან, დილით.
პოდა, მოხდა საოცრება — გზაზე დამდგარს
წვიმა წამოშენია. დაუშვა კოკისპირულად და
„ვედროპირულად“, გაცდენილის ანაზღაურე-
ბას ცდილობდა თითქოს, ანუ ჩამორჩენის
დაძლევას — იერიშის მიტანას კვარტალის
ბოლოს. იერიშობანას კი რაც მოსდევს, მო-
გეხსენებათ. აქაც აირია; თავსება წვიმას
ქარიშხალი მოჰყვა და ბოლოს ნისლიც კარ-
გა ბარაქიანად ჩამოდო გზაზე.

აგრძელდა და, უკაცრავად უხერხული თქმი-
სა გამო, აცივდა. შუა ავვისტოში აცივდა-
მეთქი, ამიტომ ვიხდი ბოდიშს. საბოდიშო,
კაცმა რომ თქვას, არც არაფერი მაქვს. თუ
ზეცაში, ელიას მინდობილ უბანზე შრომის
ორგანიზაციის დარგში ყველაფერი რიგზე
არ არის, მე რა შუაში ვარ?

მანქანის ფანჯრების შუშები ანეულია და
მივფრინავ რძისფერ ღრუბელში. არ გვე-
რათ? არც მე. მაგრამ ირგვლივ რომ არაფერი
ჩანს, არც მინა, არც ცა, მაგრად რომ განჯღ-
რევეს, ხომ გეგონებათ — თვითმფრინავში
ვზივარ და ღრუბელს მივებობო?
არ გეგონებათ?..

გზა არ ჩანს. ვკითხო? ვისა? ჯერ ის გა-
მაგებინა, სადა ვარ?

მამლარი ნისლი იდო გზაზე და იცოხნი-






— პატივცემულებო, დროზე გადმოგვხედა
ზეცამ, არა?

ახლა მე მაგათ პასუხს სიტყვასიტყვით ვერ
გადმოგვცემთ. დასაწერად გადმოტანილი კი
დაახლოებით ასე უღერს:

დღესა ყოველსა და ჟამსა ყოველსა ადამის
ძემ საქმე უნდა ჰქმნას თვისი. საქმეს საქმე-
ზედ რომ მოიყვან, გვალვა კი არა, ჯოჯო-
ხეთის ცეცხლი ნაგუბარი წყალივით იქნებაო.
ჩვენ რომ ამ წვიმას დავლოდებოდით, გექნე-
ბოდა შენ ყურძენი და ღვინო სანატრელი. შე
დალოცვილო, ამ თავსებაში რწყვაზე რომ
გველაპარაკები, საქმე გამოგლევიო? დროზე
მოსულიყავ და ნახავდიო... და ა. შ.

იდგა სამი ბოდბელი ფილოსოფოსი. ერთი
— ფრჩხილებს რომ იქნიდა, ის და ორნიც
— სამყაროს მაცქერალნი — და შუა ზაფ-
ხულს მოულოდნელად მოსულ დიდ წვიმას
მოყოლილ ნისლს თეთრი საშლელით ბოდბეც



ილუსტრაციები ჯ. ლილუასი

და ზანტად, ჯიქანსავე თეთრი ძროხასავით.
მივდივარ თუ ვდგავარ?.. რამდენჯერ დაგ-
ვიჩივლია ჩვენი ბედისა გამო ჟურნალისტებს.
ახლაც იგივეს ვაკეთებ: წყალიდობის სალიკ-
ვიდაციოდ რა ხდებაო, ამის დანერა რომ და-
კვალბინათ, სიცხესა და აღმურს ვერ დავალ-
წევდი თავს!

ორდინალური სიტუაციაა. არაორიგინალუ-
რი. მაგრამ ამის გამო შეღავათი არა მაქვს...
ასფალტის პირზე, თანატეხილ ჯვარსა თუ
სტილიზებულ ბოძზე — შავნარევი ყავისფ-
რით შეღებილზე თეთრი ასობით დაუნერიათ
„ქვემო ბოდბე“.

ბორჯგადგმული სოფელია ბოდბე, ზემო
თუ ქვემო, სულ ერთია. დასახლებული
პუნქტია — ადამიანთა სამყოფელი.

მცირე არქიტექტურის ამ შედევრის (ბოძს
ვგულისხმობ) ჩაყოლებზე სასაფლაოა
აოფლისა.

გზაზე სამნი გაპოსულან და დამდგარან:
ერთი იქით, ერთი აქეთ, ერთიც — შუაში.

დამდგარან სამნი სოფლის თავში.
ორი გაპყურებდა სამყაროს უსასრულობას,
ერთიც ფრჩხილებს იქნიდა.

ყველაფერი წარმავალიაო, ენერათ სახეებ-
ზე და კითხვით შეწუხება მათი — „ვერ მი-
მასწავლით ნითელწყაროს გზას?“ — უხერ-
ხული იქნებოდა.

ამათ თუ კითხვას გაგუბდავდი, კოსმო-
გონიური მასშტაბისა მანაც უნდა ყოფილი-
ყო.

ნაეშალა და ბოდბელთა საქმნარიც: ამ პირმოხ-
სნილ წვიმაში ეწინააღმდეგე რომელი ჭკუათმყო-
ფელი გავიდოდა. ან რა უნდა ეკეთებინა,
რომცე გასულიყო?

სოფლის ცენტრს მივალნიე. უკაცრავად
და, „ჩათუნებულ“ ახალგაზრდას გზა ვკით-
ხე:

— მარჯვნივ გაუხვიო, თუ მარცხნივ?

— მარჯვნივ! — ისე მითხრა, თითქოს
ბროლის კაკალი გატეხა — სუფთა და უმ-
ნიკვლო.

მივდივარ. მივდივარ? — მივცურავ. კარგა
ხანს ვიჭყაუნე ამ ოკრო-ბოკროზე. და —
პოი, საკვირველებე! ისევ ის სამი ფილოსო-
ფოსი ისევ იმ ადგილზე არა დგას?

უკან დავბრუნებულვარ.
ბრაზის გატეხვის დრო სად იყო, ან ეს სამ-
ნი რა შუაში იყვნენ. ბროლის კაკლიანო, ერ-
თი შენი თავი მომცა და სახრეი!

მერე როდის-როდის მივხედი, რატომ
არ მიშვებდა ის ახალგაზრდა თავისი სოფ-
ლიდან. საქეიფო ამინდიაო, ან უკეთეს მას-
პინძელს სად იპოვიო, ამ თავსებაში სად
მიგეჩქარებო, ან კიდევ — ყველა გზა ბოდ-
ბეში მიდის (ქვემოში, ყოველ შემთხვევაში).
უნდოდა დაუმტკიცებინა. დაამტკიცა კიდევ.

მამ ასე, სამყაროს ცენტრი ბოდბეა (ქვემო,
რასაკვირველია), მაგრამ მე მაინც ნითელ-
წყაროს იმ სოფელს მივადექ, რომელიც ჯერ
არ არსებობს.

ფილოსოფიური კაზუსტიკა არ გეგონათ
— სამთა წყარო ახლა შენდებდა, ახალი სამთა
წყარო. სამჯერ სამ ტრეკდ ღებს! ხხხხხ
სამთა წყაროს სახლები; ზოგი მხოლოდ
ბალავარჩაყრილი, ზოგი უკვე კედლებამოყ-
ვანილი სანახევროდ, გადახურულიც ზოგი —
დასაბადებელი სოფლის გასაჩაღებელი კე-
რები.

იყო ჩაქურჩის კაკუნი და ცუღით ჩათლა
ფიცრისა. ხეს რკინა აკავშირებდა, აგურს
დულაბი ამაგრებდა.

მოსახლეები მერე ჩამოვლენ, აჭარის მენ-
ყურსაშიში სოფლებიდან. ჩამოვლენ და დაე-
ფუძნებიან აქ — ალაზნის ველზე, ალაზნის
პირად, მთის ძირში, ბარაქიან და მყარ
მიწაზე.

ახლა სახლებს აშენებენ სახელმწიფო და
მომავალი სახლის პატრონები — კოხტა სახ-
ლებს. ერთი დაუმთავრებიათ, გაუნყვიათ
ჩუქურთმიანი მოაჯირით, დაუსუფთავე-
ბიათ, მასპინძელი ზღურბლზე დამდგარა და
სტუმარს ელის.

სახლიდან ფილტვებდაბერილი მაგნიტო-
ფონი „აბბას“ კონცერტს აცნობდა არემარეს
— „შელოუ, ჯონი!“ აბა!!!

შენდებდა სოფელი. არ გავცინოთ და ერ-
თი სახლის ხარაჩოზე მამალი ყვინთავდა,
ქვემოთ ძალღს ეძინა, — „სოფლის მაშენებე-
ლნი“.

„ძალღმან უთხრა: როგორ ავაშენოთ?
მამალმან უთხრა: შენ იყეფე, მე ვიყივლებ
და აშენდებო“.

დროს გამოცდილება მოუტანია და ეტყობა
უკუუგვდიათ სოფლის აგების თავიანთი, მოძ-

ველებული მეთოდი. არ ყიოდა მამალი. კედ-
ლის ძირას ეძინა მურას.

სოფელი კი შენდებოდა.
მომავალ ქუჩებში ერთ დროს აქაურობაში
პოლულარული ცხოველების პატარა ჯოგი
კოლექტიურად დადიოდა.

— საიდანაო, — უკვირდა მშენებლებისა-
თვის გამართული საველე სასადილოს გამგეს.

— მთელ რაიონში ერთსაც ვერ იპოვი. აქ
რატომ მოჰყარდნენო?

— შენი კურძების ქება მისვლიათ და იმა-
დაო, — ხუმრობდნენ ტუჩებგაქონილი შოფ-
რები. ფხიზლები, რასაკვირველია.

წვიმას გადაელო ამასობაში. სადღაც სად-
ღაც მზემაც გამოიჭყიტა ღრუბელში. იზმო-
რებოდა დარწყულებული მიწა-მარჩენალი.
გვალვა არავის ახსოვდა.

* * *

ჩემს უბის ნიგნაკში ვერც ვერაფერი
ჩავენერე მეტი და არც გამოვიდა რეპორტაჟო
რწყვაზე, ანუ გვალვის წინააღმდეგ ფართოდ
გამოიღ ფრონტზე.

დავაგვიანო. გასაკეთებელი გაკეთებული
იყო, დასაძლვეი — დაძლეული.

გაცუ და მივლინება. მაგრამ ჩემზე კმა-
ყოფილი იმ საღამოს თბილისში მობრუნე-
ბულთავან ალბათ არავინ იყო.

ალთა გალთიქა

დისციპლინის მოშლისა და უდარდებლობის გამო გორის რაიონის სოფელ ქვახვრელის კოლმეურნეობაში წელს დაბადებული 1006 ნამატიდან შემოსავალში არ უწევნეს 523 გოჭი, ანუ საერთო რაოდენობის 52 პროცენტი.

ნახ. მ. აბაშიძისა



— მიდი, ნიკა, გალე გაიყვა, სანამ „ნითელ ნიგვში“ შეუტანიათ!..

ღავენი-ღავებასე

ჩვენი მას დავი-დავბასეს ვეძახდით. იცოდა, დავი-დავბასეს რომ ვეძახდით, არ სწყინდა, ხანდახან იცინოდა კიდევ ამაზე. მართლა ძალიან კარგი კაცი იყო დავი-დავბასე. ზაფხულში მასთან შლაპიანი კაცები მოდიოდნენ ტაქსებით, აივანზე სხდებოდნენ და ნარდს თამაშობდნენ.

ორი ბიჭი ჰყავდა დავი-დავბასეს: უფროსი — ისე რა! კონსერვატორიაში სწავლობდა; უმცროსი — ძალიან კარგი ბიჭი იყო, თუმცა უფროსები ამბობდნენ მასზე — ძალიან კარგი ბიჭი იქნებოდა, ცოტა წიგნში ჩახედვაც რო უყვარდესო. ჩვენ კი, უბანში თუ ვინმე გვანყვინებდა, დავი-დავბასეს ბიჭის იმედით ვიყავით, ვიცოდით, რომ ის თავისი დავბასისური ნაბიჯებით გამოგვევებოდა უკან.

ჰოდა, ერთხელ, დავი-დავბასე დაიჭირეს... ჩვენთვის არავის არაფერი აუხსნია. მხოლოდ ერთხელ, კოკამ მოიტანა ამავე — მამამისს უთქვამს დეიდა სონასთვის — „აბა, კოკა ყოველთვის ხომ ვერ მოიტანდა წყალსაო!“

ჩვენ მაინც ვერაფერი გავიგეთ, იმიტომ რომ კოკას მამა მასწავლებელია და სულ ანდაზებით ლაპარაკობს.

ღირეკტორი, ერთი, მეორე, მესამე და კაი კაცი

ღირეკტორმა თქვა — საჭიროაო! მე ვერ გავაკეთებ, მე სახელისთვის ვმუშაობო, უთხრა ერთმა. ვერც მე გავაკეთებ, მე სახრავზე ვმუშაობო, უთხრა მეორემ. მესამემ ისე შეხედა, რომ ღირეკტორს მისთვის აღარაფერი უთქვამს: მესამეს სახელიც ჰქონდა და სახრავიც. მე გავაკეთებო, — თქვა მეოთხემ, გადასდო თავისი საქმეები გვერდზე და გააკეთა. კაი კაციო, თქვენ. მე რე იმ კაი კაცმა კიდევ ბევრი ახეთი კაი კაცობა გამოიჩინა და ერთ მშვენიერ დღეს, — იმ დღეს, როცა მესამე ხალაყ გადაიყვანეს, — ღირეკტორმა ღიმილით იკითხა: კაი კაცი ხომ არ დაგვენიშნა მის ადგილზეო? — ერთსაც გავიღმა და მეორესაც, მესამე იქ აღარ მუშაობდა, მაგრამ იმხანა გავიღმა. ახე იყო კაი კაცის საქმე.

ბარი-ბურბალე

ყურადღება

სატირისა და იუმორის რესპუბლიკური ჟურნალი

„ნიანგი“ აცხადებს

ჩვენი ზეპირი

საქართველოში საგჟოთა ხალისუფლავის დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შიგნის მკ-60 წლისთავისადმი მიძღვნილ

საიუბილეო კონკურსს

საუკეთესო სატირულ-იუმორისტულ ნაწარმოებებზე

„ნიანგი“ სწავლია, საკონკურსოდ წარმოდგენილი:

მოთხრობა, ლექსი, კონკრეტული კრიტიკული წერილი, ფელეტონი, იუმორესკა, პაროდია, იგავ-არაკი, სკეტჩი, მინიატიურა, ნაკვესები, სხარტულა, ქარაგმები, ეპიგრამები, ფრაზები, ანდაზები, ხალხური ზეპირ-სიტყვიერების სატირულ-იუმორისტული ნიმუშები; საერთაშორისო პოლიტიკური პამფლეტი და ფელეტონი; ნახატი კარიკატურები და თემები, — რომლებიც:

გამსჭვალული იქნება სოციალისტური ცხოვრების წესისადმი ყოველგვარი ანტიპოდური გამოვლინების მიმართ შეურიგებლობის, ახლის შენების, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მიმდინარე დიდი პოზიტიური ძვრების ხელშეწყობის, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით;

შესამავალი იქნება ყოველივე ახლის, მონივნის, პერსპექტიულის, ყველა საყურადღებო სახალხო ინიციატივის, კომუნისტური მომავლის ყვლორტების ყოველი ღონისძიებით მხარდაჭერასთან —

ამხილავდეს, გმობდეს, ებრაოდეს:

რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ჯერ კიდევ შემორჩენილ ნაკლოვანებებს; სოციალისტური საერთო ცხოვრებისაგან ყოველგვარ გადახრასა და ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებას, ყველაფერს, რაც ხელს გვიშლის ქვეყნის სასიკეთოდ პატიოსან, ნაყოფიერ შრომასა და ცხოვრებაში —

კერძომესაკუთრულ ტენდენციებს, მომხვეჭელობას, მფლანგველობას, სოციალისტური საკუთრების მითვისება-დატაცებას, საქმოსნობას, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, გამომძალველობას, მექრთამეობას, ნამგლეჯელობას, კარიერიზმს, პროტექციონიზმს, ბიუროკრატიზმს და საქმის გაჭიანურებას, ადამიანთა მიმართ უსულგულო დამოკიდებულებას, ფორმალიზმს, კამპანიურობას, ლიბერალიზმს, უდისციპლინობას, მლიქვნელობას, უეგრევილობას, უინიციატივიანობას, არაკომპეტენტურობას, ობივალტელობას, სამართლდარღვევის ყოველგვარ შემთხვევას, მუქთახორობას, ლოთობას, ხულიგნობას, ქურდობას, სპეკულაციას, წარსულის მახინჯ გადმონაშთებსა და დრომოჭმულ ტენდენციებს; ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარ ხრიკებს, მტრულ პროპაგანდას, ანტისოვეტიზმს, ცილისმწამებლურ კამპანიებს, პროვოკაციებს, უცხო იდეოლოგიისა და მორალის ყოველგვარ გამოვლინებას, ჭორიკანობას, ააშკარავებდეს იმპერიალისტური კაპიტალიზმის, როგორც ექსპლუატაციის, ჩაგვრისა და ძალმომრეობის სისტემის მანკიერებებს, სისხლიან დანაშაულებებს, უმუშევრობას...
საიუბილეო კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს!

კონკურსის პირობები:

წარმოდგენილ მასალათა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ორი ინტერვალით გადაბეჭდილ 5 გვერდს. იგზავნება 2 ცალად;

კონკურსის დასურულია და ტარდება დეკემბრით: ცალკე კონკურსში ჩაიდება ფურცელი, სადაც აღნიშნული იქნება ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი და დევიზი;

დევიზი უნდა დაწეროს მასალის ორივე ცალსაც; წარმოდგენილ მასალებს განიხილავს კონკურსის ჟიური — ჟურნალ „ნიანგის“ სარედაქციო კოლეგია.

საკონკურსო მასალების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 1981 წლის 1 აპრილი.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრემიები:

ორი — პირველი: თითოეული 400 მანეთი.

სამი — მეორე: თითოეული 200 მანეთი.

ოთხი — მესამე: თითოეული 100 მანეთი.

ოთხი პრემია — თითოეული 50 მანეთი — გაიცემა ნახატ კარიკატურებსა და საუკეთესო თემებზე;

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება 1981 წლის მაისში. გამარჯვებული ნაწარმოებები დაიბეჭდება და მათ ავტორებს, გარდა პრემიებისა, მიეცემატ პონორარი ჩვეულებრივი წესით.

„ნიანგი“ დაიბეჭდება ის მასალებიც, რომლებსაც კონკურსის ჟიური რეკომენდაციას მისცემს გამოსაქვეყნებლად.

საკონკურსოდ არ მიიღება ნაწარმოებები, რომლებიც გამოქვეყნებულია პრესაში, გადაცემულია ტელევიზიითა და რადიოთი.

გამოგზავნილი მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ, მათი რეცენზირება არ მოხდება.

მასალები უნდა გამოიგზავნოს მისამართით: 380008, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი №42, ჟურნალ „ნიანგის“ რედაქცია, „კონკურსისათვის“.

ჟურნალ „ნიანგის“ სარედაქციო კოლეგია

კარელ ჩაპკი

კარელ ჩაპკი — ჩეხი 85წელი-სატიროსი — მე-20 საუკუნის პირელი ნახევრის მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უნიჭიერესი წარმომადგენელია. იგი დიდხანს მუშაობდა გაზეთებში, ე. ჩაპკი ძალზე სერიოზულად უდგებოდა გაზეთის როლს საზოგადოების ცხოვრებაში, მიიწინააღმდეგებდა სტალინის პასუხისმგებელ არიან თვითნაირ მკითხველების სტალინური სახისათვის და, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი მოვლენების წახერხისათვის მიიწინააღმდეგებდა. ამიტომაც გასაგებია ის ირრინა, რომელიც გამოსჭვავის 1937 წელს დაწერილ ნარკვევში — „როგორ კეთდება გაზეთი“.

ჩრდილოეთ სტალინიზმი, ან... ნაწილები ნარკვევით
„როგორ კეთდება გაზეთი“

უმატესინალად ესენი არიან შერეილები, ჯიბეები ხელნაწერით რომ აქეთ გამოტენილი, ან კიდეც აღმთხოვებული ობიექტლები, რომლებიც იმის პროტესტის ნიშნად მოსულან, რომ მათი ფრიალ პატივსაცემი ხელობა (ესაბობა, მავალითადაც), ვიღაცამ აუგადა მოიხსენია გაზეთში? ზოგჯერ სტალინი დოკუმენტებსაც წარმოადგენს ხოლმე. ეს დოკუმენტები აისაბურბებს, რომ მას ჰქვია ფრანტიკი ენო ფომიესტაკი ი და მას, ამდენად, არაფერი საერთო არა აქვს ფ დ ე ქ ს ტ ა რ ი მ ე ს ტ ს კ ი ს თ ა ნ, რომლებიც გაზეთი იტყობინებოდა, დაპატიმრებულია ლუდის კაობების ქუდილობაში გჭვის მიტანის გამო. ამიტომ პატივცემული ფრანტიკი ნოემბრის მტკიცედ მოითხოვს, უახლოეს ნომერში გამოაქვეყნონ განმარტება, რომ ფეხლის სტალინისტები არა გაროს. მოდიან ისეთებიც, რომლებიც რედაქციის ყურადღებას მიაქცივენ პაისგვარ უსწერობასა და დანაშაულზე და წინადადებას აყენებენ, გაზეთმა დაუყოვნებლივ აღკვეთოს ბოროტება, ან, უკიდურეს შემთხვევაში, თვითონ საჯაროდ შეუდგეს ავგიოსის ბოხების წმენდას. დაბოლოს, ძალიან ხშირად, მოდიან სხვადასხვა ფურის მანიკები და უყინარი გიჟები, რომლებსაც განსაკუთრებით უყვართ მოთხოვნა, რომ მათს პტივირებს, საჩივრებს და პროტესტებს უშეშებლად გაიციონ თვით სახელმწიფოს მეთაორი..

ყველა ესენი უნდა დაამწყრო და თავზიანად გაისტუმრო!

ნ. ა. შინაშვილის



სურთავრო

პენსიონერი

ოუმე ხივეუ სასუსურნი
ვეარ არ დღუესა, —
ველეუ მეტს ის ხიურობს,
ვით უწინარს წესია!
უფრესებთან სალიქველედე
ენა აუღენია..
ხელფასი აქვს დასიმული,
ისე, როგორც პენსია!
უფრესებთან ახლო ვოფენის
ვებეს ახალ ვერხის
და „სხურო წესის“ გვართა
ადგენს იგი ვეულ ხაას..
თუმცე პენსიონერია,
ვლოლებს პენსიას..

სარბის პირუტყვი

ნ. ა. შინაში



მარტოძე

ლექსიკონი

ექსურსია — სადღე ზოგი გასართობად მიღის, ზოგი — დასაშროსად. პატივმოყვარეობა — რასაც ვერ იტყვიან, იმიტომ, რომ ვერ ელვინან. ჭამა — ზონისთვის არსებობის საშუალებაა, ზოგისთვის — მიზანი. ზოგი რევიზია — თვალუჭობანას თამაში. მედიკურა — სიბეჭე, როცა საკუთარი თავის გარდა ვერაფერს ამჩნევს. იატაკვეთა მდგომარეობა — რომელიცე მუშინ ვერძინოთ, როცა ჭერიდან წყალი ჩამოეღვოს. კაბიტალური რემონტი — დაწვრული შენობის რესტავრაცია. საქმოსანი — ვინც თავის საქმეს აკეთებს და საერთოს აფუშვებს. ცხვირი — ბიურკრატის პორიონტის ხაზი. ხელვეითი — ვინც ქვეითად დადის სამსახურში.

ალმანახი თავადა

ნ. ა. შინაში



— ახანააბიგო, თათარაგა ვინც
დატარათ, თვითონ გამოიპხის
თათარაგა..

გართმული ურავანი

- თასა არ იკვლავს ძიებთი, — ჰყავს მფარველი ძიებთი.
- რსტატი არ ის ჩანყობის და დაითრია საწყობთი.
- ხელს მხოლოდ იმას ართმებს ვისაც რჩობის ართმებს.
- იმასაბა ორატორი, — მსმენელია ორად ორი.

ნ. თ.

განცხადება

სოცხალ საქმიანობის მეურნეობაში შედგება ნაწილობრივ და და ნაწილობრივ დაზოგურობა, სიდაც, პირად საქმეზე თავგადასულ და საზოგადოებრივ სასოფელზე თავგადასულ უპირო პიზითა გარდა, მოწვეულულები არიან სერვის, ხეიონა და ქილოქორქილის მოვარელო შექობათობით და სხვადასხვა ქუთის ლანაჩალას შევლება.

დღის წესრიგი: შეისავალ-გასავალა და აღმე-მოცემობის მდგომარეობა მეურნეობაში.

მიზანსაძლეა: მეურნეობის დირექტორი ზოგანა მელოაშვილი.

კაბითი მონაწილეობენ — საწყობის გამეგ ხობაბლა (იგივე ქუჩა) გამეგეტელაშვილი, კონტროლიორ-რევიზორი შუკო ვა-ცეპაშვილი, ფურის გამეგ შედეკო ვეულაშვილი, შიქეშხები და მეფრესეველები ცეხვანაშვილი, კურდულაშვილი, კა-კაბაშვი, ჭაბაშვი, ბატონაშვილი და მამაშვილი.


რუსთომ გიგაური

ნ. ა. შინაში

გართმენა
გართმენა — ატლასი შვიგით — ასი-ანგები
(ყავაგინეყ ათყარაშა)
ნ. ა. შინაში
(ხელდაწერილი რენე-სარევი)
ნაწილის ახალი შტრამპი

- შინაგაგისკვდა ცხელი წყლის მილი და საავარიო სასახურის იმედუდარი!
 - შინი ბინის ზემოთ იტყობრა ღამით მოქოვე მეზობელს.
- გართმენა**

ნ. ა. შინაში



სურთავრო

ნ. ა. შინაში



სურთავრო



უხარხარელი თემა

გაგვიხიბა აღწერდა ში ერთ-ერთ უფროსელ თემა არის მინილედი ამდინის ქალურ და კაცურ საწყისებს სახარბი და მით უფრო დიდ მიღწევად — უნდა ჩაიფილოს უკანასკნელ სახაბში „სიჭიფერი“ მხატვრების მიერ შექმნილი თვალსაჩინოებები ამ დარგში.

ჩრადულ დახანარია, რომ ჩვენს დროში არ მოსწონია ცხოვრება პედაგოგიური არის კორიფერბს.

ისინი აღტაცებული დატრეზობენ ჩვენს რესპუბლიკის უკუტრეზობის, სასოფრების შედახობის, უიუფრადღებ და კიოსკები რომ დადოთი და თბილისის მუსიკალურ საღავეში ინსტრუმენტებისა და გარის აპარატურის ქარხნების (?) გამოწვეული შეუპირე-ესტაბლურ-დიდატორ-პედაგოგიური პროფუცია ვიხილავ.

აქ უნა უზალო განავეფიერება სუფოა პედაგოგიურ ამრის გაქონება-შეკლებანი და უნებლიდ თვალს დახაუჭებრდა ასეთი სიკადა, როცა დადებენ ნაწვევს და გულსაბაშობელი თვისი იხილავენ.

აბა, წარმოვიყვინო აღმზრდელითი ვიქონის რა სიხალვეი იგრძობა ჭფედრებაში. სადაც შეიქმნობილია დასაბედა ფიზიკოლოგიურ აქტს დიდი თავგადური ტაქტიი ასრულებს და თან იქვე შეიკვეთები, როგორც მივინოთი ბენი სიამაბი.

მეცენ ცხავია, ღიბლით უნდა შეაქებოთ.

აგრ ვიგონავ, რომელსაც ვაბა წამოუხილა და იქვედრე ნახვერილ ზურგმოდული შემოაგვრებანი..

მეცენ ისედა დატრეზია, რომ ენა-მიოქლეითი მოეფრით.

არის სოფლებიც — გოგონები და ბიჭუნები ღამის კონცერტის..

ფრადერის იტყვი შესანიწავი თემა, პაა-დიდატორ-პააა-ბიჭუნო, არის დაბეჭდე და გულსაბაშობელი..

ან თუღადა წინარდა ცვიოის ბუჩი დასკულებია, უკან მდგარ ბიჭუნსა კი რიანდობა გამოუყენია და ხელს უტყუას იმ აფილას, სადაც გოგონას ზუსტი ახსნა..

აღნიშნული მაგალიტარეული შედეგების ატორებს და გამოცემებს, თქმა არ უნდა, კარგად ესმით, რომ თვალსაჩინოების გამოყენება პედაგოგიურად აღმზრდელი პირიადაც სავსე მოზარდს მიზამა მავალით.

ამ სურათების გაყიდვა-გავრცელება და დიდი ხანი არ გაივლის, რომ ამ

ნახატების გმრებს მრავალა ენახავი ცხოვრებაშიც, ჩვენი მოზარდები მოუროდებლად მოისაძებნენ ქუჩაში, სკვერებში და საზოგადოებრივ თავშეურის ადგილებში (რამაბო იაფ-საბა?).

იგივე ვაკვებს, რომ ბიჭუნის ზემო-სტრუქტურული ქარხნების ხელმძღვანელია, ინერვიტ-ტენისობა, ნიჭირი მხატვარ-გამომკერებელია. პედაგოგიურ-ტექნიკურ არჩევნის სხავი ბერი რამ ასეთი, თავის მოსაზრებელი და სახამავ საშუალებები გამოიყენა — გამიზნული ჩვენი თაობის მოურიდებელ-დაურცხველი სული აღსაჩნდელია.

მერი ბრანა

ნ. ა. შინაში



— მოკლედ და მასაბაზად მიხსნარი, რას იტყობენ?
— კი მამარა, თქვენ მოკლედ და მასაბაზად ლაპარაკობთ კრამაზაზე!

ჩქვიპურტები

საკანდიდატო დივიცა თემაზე — „იოხა და ვენახი“ — ლელს სალოტკროსი ანახავენს — „სხტრებთი ფურსის“ შესახებ.

გავერჩევა თობის ცხოვრებას იტყუეს ახლოდან: ცოლს დატრეკეა ქვბობა — ველა გაველო სახლდან.

იმირი თახაბარი (კიათურის რ-ნი)



ცნობილ ქართველ მწერალ-სა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელ მდივანს — დავით კვიციანიძეს — დაბადების 60 წლისთავი შეუსრულდა.

დავით კვიციანიძე ნაყოფიერად მუშაობს სატირისა და იუმორის ჟანრშიც. მისი რამდენიმე ნაწარმოები დაიბეჭდა ჩვენს ჟურნალში.

ტყის ფყაროს გალადა

მუხნარეთში, საღორიას რომ ვეძახით აგდებულად, უსათუოდ თქვენც გექნებათ ყურმოკრულად გაგებული: „ჭამა-ყლაპვა-ყლურწვის“ ერთ ტრესტს წყარო ჰქონდა საკრებულო! წყარო იგი იქვე დარჩა — არც ნატულობს, არც კლებულობს!

სავარძელში თეთრა ბურტყელი ისე არის ჩაფენილი, გეგონებათ, საგანგებოდ ათი ბატი ჩაფურენილა. ისევ ისე იმ განცხრომით, ისევ ისე ნუბიურად ზის მმართველად დათუჩა და თაფლს მიირთმევს გემრიელად!

ტურა-მგლები, მელიები, არჩეები და ავაზები — დატვირთულნი, დაზურგულნი ისწრაფიან ახალ გზებით: კენკრით, ხურმით, კაკლით, თაფლით... რაღა უნდა გაავარძელო? ზოგს პანდურა ელის დათვის, ზოგსაც — მომცრო სავარძელი!

ტყე საამურ შრიალითა დაქანცულა, ქილიკაობს, ძველი აზნაურებივით დაკვანწულან ბილიკები. დათვი ბრღვინავს, ხან მთვლეძარებს, ხანაც ფშვიანავს ტკბილის ვნებით!

ჭიკჭიკებენ ფრინველები: „ძილი ნების! ძილი ნების!“ მაგრამ წარბს სწევს, რადგან იცის, ძილი — სიკვდილის სწორია! ამას მოწმობს საღორიის გუშინდელი ისტორიაც! მერე ისე იღრიალებს, ისე ამოაბოყინებს, — შიშის ქარად მთელ მუხნარეთს ერთ წელიწადს ამყოფინებს!

...ამას წინათ საღორია ვნახე თვალთ საკუთარით: დათვის ბელებს მუხნარის ტყე გაეხადათ საბურთაოდ! ჩხრიალებდა ნატურის წყარო, ჩიტნი სტვენდნენ დაზაფრულნი, კვლავ მოჩანდნენ ბილიკებზე ალალები გაბაწრულნი!

ისწრაფოდნენ დატვირთულნი, დაზურგულნი მსუყე ძღვენით, ხესთან ვიდექ, ვით მსტოვარი, „ვერ ვძღებოდი“ მათი ცქერილი! სავარძელში... ღმერთო! — სხვა ზის, თუმც დათუჩას აქვს იერი! ის მოხსნესო, ეს გახლავთო იმ მმართველის ნაშიერი!

ყოფილ მმართველს სავარძელი არც უღირდა უხალთუნად და ბელს ტორი ჯერ ამოჰკრა, მერე მხარზე უთათუნა!.. შეგონებით ებურღლუნა, ვერც იღრინა, ვერც იყვირა, მთელი კვირა ბელს აწრთობდა, ბელს მოძღვრავდა მთელი კვირა.

„გამიმეტეს! გავისუსე! რიხით ველარ ვაბოყინებ! შენ რომ იცი, იმ ქონებას ათ თაობას ვამყოფინებ! არ აჩქარდე, არც წათვლიმო, არც იშტერო, არც იბრძენო! ბელო, სულმა არ წაგძლიოს, ტორი აღარ დაიგრძელო!..“

აგერ, ჩვენი საღორია! აგერ, წყარო სამართავი! აწი შენ ხარ მუხნარეთის კანონი და სამართალიც!.. სარჩენალ ტრესტს ნუ დავკარგავთ! შეგვარჩინოს, რაც ეჭამეთო! საღორიას თუ წაგვართმევს, ვადმოგვიგდოს აჯამეთი!..

...განზე ვადგა სირცხვილისგან დრუნჩებგადაწითლებული!.. შრიალებდა საღორია — მუხების ტყე დიდებულნი!.. კუნტრუშობდნენ დათვის ბელნი — თვალწარბყურებდაცქვეტილნი!.. სხვანი? სხვანი მსუყე ძღვენით იღვნენ ნერვებდაწყვეტილნი!..

დავით კვიციანიძე

ნ ა კ ვ ე ს ე ბ ი

● იმდენი ჭამა, რომ უცეცხროს მანქანის უთაფლო ცეცხლად ექცა. გიგლოტიუქა

● ისარბა და, ყველაფერთან ერთად, წამხლარი კაცის სახელიც შეიძინა.

● ფალსიფიკატორი ღვინოს ქინძს ურევდა, თუ ქინძმარაული არა, ქინძმორეული მაინც გამოვარო.

● კრეპაზე შემთხვევით მოსულ მუქთანორას მხოლოდ ორი სიტყვა მოეწონა: „გაუფსწორდეთ ზოწინავეებს!“ და შინ მისვლისთანავე მეზობლებს ფიზიკურად გაუფსწორდა.

● იმდენი იძახა, ადგილკომის გათავისუფლებული თავმჯდომარე ვარო, სანამ მართლა არ გაათავისუფლეს.

არდაინდო არდაუნი

● რევიზორმა გამყიდველს აღმოუჩინა ნამატი, ცოლმა კი — რევიზორს.

● სიმე-პატარძალი პირველად ფეხით ამტვრევდა თეფშს (აღათის მიხედვით) შემდეგ კი თავით (ჩხუბის ხასიათის მიხედვით).

● მალაზიაში თუ კარგი საქონელი მიიღეს, ზოგიერთ გამყიდველს რატომღაც ავიწყდება, რომ ნამუსიც კარგი საქონელია.

გივი აბურჯანი (აბაშის რ-ნი)

კ ე თ ი ლ ი

ჩვეულებრივად ასე ხდება:

- ალო, სასწრაფოა?!
- არა, ბატონო!..
- ალო, სასწრაფოა?!
- არა, ბატონო, ბინაა!
- რა ბინაა?!
- ოჯახია! სწორად დარეკეთ!
- ალო, სასწრაფოა?!
- ხომ გითხარით, სწორად დარეკეთ-მეთქი?!
- ალო, სასწრაფოა?!
- ისევ ჩემთან მოხვდით!..
- გადადეთ ყურმილი!
- რჩევის მოცემას თავი დაანებე და სწორად აკრიფე ნომერი, ვიღაცა ხარ! — მეც ხომ ნერვები მაქვს?!
- სასწრაფო და სახანძრო არ მოშორდა შენს გვარს და ჯილაგს! — იმასაც ხომ ნერვები აქვს?!
- დაგეცა ოჯახი!

ორი წნევაანული მოქალაქე ამ სიტყვებით ეშორდებით ერთმანეთს. საქმეა მერე ეს? ვიფიქრე, ვიფიქრე და ვიპოვე გამოსავალი: ადამიანი თურმე ცოტათი უფრო კეთილი და ყურადღებიანი უნდა იყო, ვიდრე მე გახლდით აქამდე.

- ალო, სასწრაფოა?!
- სასწრაფოა! — მიუზღებ მე და ავტოკალამს ვიმარჯვებ.

— ჩაინერეთ მისამართი ვაშლოვანის ქუჩა, № 519, გოდებაძე.

— რა ჭირს ავადმყოფს? — ვეკითხები.

— მუცლის არეში ყრუ ტკივილს გრძნობს.

— დაელოდეთ! — მშვიდად ვუბნებ, ყურმილს ვდებ და იმავე ნამში სასწრაფოში ვრეკავ.

— ალო, სასწრაფოა? — სასწრაფოა!

— ჩაინერეთ მისამართი ვაშლოვანის ქუჩა, № 519, გოდებაძე.

— რა ჭირს ავადმყოფს? — მეკითხება მორიგე.

— მუცლის არეში ყრუ ტკივილს გრძნობს. შეიძლება, ბრმა ნანღავის ანთება აქვს!..

— დაელოდეთ! — მშვიდად ვუბნებთან და მეც გული საგულეში მაქვს.

მაგრამ, ამ ბოლო დროს, ეჭვის ტია შემომეჩვია: ისე მშვიდად და ტკბილად მოლაპარაკება სასწრაფოს მორიგე, რომ ვაითუ, მეც სხვაგან ვხვდები და, ნამდვილი სასწრაფოს წაცვლად ჩემსავით კეთილ სხვა კაცთან ვრეკავ?

არა ჩამია

პარალი-პიპარა

შაბათ დილით, ქალაქგარეთ,
ტრიალებდა ხალხი ჯარად! —
გუგუნებდა არემარე,
ნერგებს რგავდნენ შაიპარად!..

— „აჰა, ბარი! აჰა, ნყალი!“
— „აბა, სწრაფად! აბა, ჩქარა!
ჩრდილში ცივი ლუდი გველის
და ნანატრი კიბორჩხალა!“

უცებ მორჩნენ სამუშაოს,
ხალხიც უცებ დაიშალა!..
და რა მოხდა? — არაფერი! —
შრომა წყალში ჩაიყარა!..

ისე მტერმა გაიხაროს,
იმ ნერგმა რომ გაიხარა!

დიდ სახლს, განა კაფანდარას,
აშენებდნენ შაიპარად,
თან ყვიროდნენ: „ჩქარა ქვიშა!
ჩქარა ბლოკი! ჩქარა! ჩქარა!“

თუმცა სწრაფად ააშენეს,
დაავინყდათ კარ-ფანჯარა!..
ჭერი დაბლა ჩამოცვივდა
და პარკეტიც აიყარა!..
ერთი სიტყვით, დიდი სახლი
კი აშენდა შაიპარად,
მაგრამ ჩვენ რომ გავიხარეთ,
ისე მტერმა გაიხარა!

ფილმს იღებდა რეჟისორი,
ხცენარს ნერდა შაიპარად!..
მაგრამ ნერა ველარ შეძლო,
ბულალტერი დაიხმარა!..

ან რა ექნა, როცა სთხოვდნენ:
„ჩაგვაბარე, ჩქარა, ჩქარა!“
„დროა, მოვრჩეთ!“ — ოპერატორს
უყვიროდა წარამარა.

„პრემიას ხომ ვერ დავკარგავთ?!“ —
ერთხელ ესეც არ დამალა.
ბოლოს ფილმი ვნახეთ, მაგრამ
იყო მართლაც შაიპარა!

როგორ ფიქრობთ, გავიხარეთ? —
ისე მტერმა გაიხარა!

შვილს ვუყიდე ფეხსაცმელი,
ფრთა გაშალა მერცხლის დარად,
მაგრამ ფეხი შიგ ვერ ჩაჰყო, —
გამყიდველი დაეხმარა!..

ზუსტად მისი ზომა იყო
და აყვირდა: „არ მსურს, არა!“
გაუხედნავ ულაყივით
ახტა, დახტა, ტლინკი ჰყარა.

როგორც იქნა, ძლივს გავხადეთ,
ქუსლზე სისხლი მოსდის ღვარად.
გამყიდველი გამომიტყდა:
„მოდელია შაიპარა!“

მე რომ შვილი გავახარე,
ისე მტერმა გაიხარა!

ამათ გამო ინფარქტებიც
მოგვიმრავლდა შაიპარად! —
დედალ-მამალ, მიკრო-მაკროს
მიტომ ვხვდებით ჯავშნის ფარად,

რომ ვებრძოლოთ კაცს უდარდელს —
შარალია-შაიპარას, —
ვინც მამულზე, კუჭის გამო,
გული სულმთლად აიყარა,

თორემ ეგ რომ გავახარებს,
ისე მტერმა გაიხარა!

ნ. ა. ჯ. ლოლუსანი



— გამობარა, ძია შაქრო, ებ ჩვენი შტაბნი
საკეულანთია!

რუსთაველის საპედიონო გამოსაფხიზლებლის „გეირანი“

804 80
25.21

ბიგანიშვილი ჯემალ სერგოს ძე — ალკოჰოლის დიდად მოყვარული, სამჯერ მოხვდა გამოსაფხიზლებელში, უფასოდ გაიგზავნა საგარეგოს შრომით სამკურნალო პროფილაქტორიუმში.

ტოპარევი პავლე სერგოს ძე — უსაქმური. მასზე არ ვრცელდება გამო-თქმა „ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს!“ პირიქით, ძმაკაცებთან ერთად ხშირად ჭამს პურს. ერთ-ერთი ასეთი პურისჭამის შემდეგ რუსთაველის რკინიგზის სადგურში ატეხა დებოში, აყალბაყალი და მანამ არ მოიხვეწა, სანამ არ „მოასვენეს“.

გვრიტიშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე — ერთი შეხედვით გვრიტივით ბიჭი, უსაქმური. რომ დალია, ველარ მოინელა და პირველადი დახმარება გამო-საფხიზლებელში გაუწიეს.

გორიაჩევი ვიქტორ სერგოს ძე — „საქმთავარნავთის“ მომარაგება-გასა-ლების სამმართველოს ზეინკალ-მემონტაჟე. სადგურში მთვრალმა ატეხა ჩხუბი, ყვირილი. რადგან შინ არ მიდიოდა, მიაბრძანეს „სადაც ჯერ არს“. ალკოჰოლურ-სკანდალური მოღვაწეობა წელს დაიწყო.

ჩოხელი ირაკლი ალექსის ძე — უსაქმური სოფელ ახალსამგორიდან. ახალსამგორელები რომ ბალ-ბოსტნებსა და ვენახებში ოფლს ღვრიან, ამ დროს ირაკლი სახინკლეში იდენს ოფლს. რუსთაველის საკოლმეურნეო ბაზარში, „ბევრი ბაზარი არ მიყვარსო“ და მთვრალი ეცა ლუდის გამყიდველს — დამისხი, დამა-ლევინეო! მიუხედავად წინააღმდეგობის გაწევისა, გამოსაფხიზლებელში მაინც დააწყნარეს.

სახბატოვი მახმუდ მამედ ოღლი — გამოსაფხიზლებლის ხშირი სტუმარი. უსაქმური, მუქთად პურისჭამის ოსტატი, მისი ღვევიზია: „ღვინოს დავლეგ, წყალს — არა!“

რუზბა გენადი ვლადიმერის ძე — ხშირად იცვლის სამუშაოს, რადგან ლო-თობს. კოლეგებს შორის რეკორდი აქვს დამყარებული — ხუთჯერ ესტუმრა გამოსაფხიზლებელს...

პირიჩენაძე ლიუდმილა — არყისა და ღვინის სმაში ზოგჯერ მამაკაცებსაც სჯობნის. მივლინებით ჩამოვიდა რუსთაველის ქიმიურ ქარხანაში და ქალთა შორის წელს პირველად სწორედ ის მოველინა გამოსაფხიზლებელს.

20.000 ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი გან-
გაგებული ლათინურ ამერიკაში.

ნახ. ბ. ლომიძისა



„მეგობარი“ კარაჭიტები

„კატარა ატომური ომი“

(კოლიტაჟური კამოფლაჟი)

მოსდამ იხე, რომ როცა ამერიკა შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯიმი კარტერისა და ეროვნული უშიშროების ხატიონებში მისი თანაშემწის ზბიგნევ ბუჟინსკის მოუღლეღმა ფანტაზიამ მსოფლიოს მორიგი ხენსაცია შესთავაზა ე. წ. 59-ე დირექტივის სახით, ამან თვით ბევრისმნახველი ამერიკელებიც კი გააოცა.

იმისათვის, რათა ვიხსნათ მსოფლიო ბირთვული ომის კატასტროფისაგან, განაცხადეს პრეზიდენტმა და მისმა თანაშემწემ, — ხატიონა პატარა, ლოკალური მნიშვნელობის ატომური ომი.

ამ აფორიზმივით მოკლედ მოჭრილ აზრამდე, რა თქმა უნდა, მისი ავტორები დიდი ძიებისა და პოლიტიკის უფსკრულელებში ხეტიალის გარეშე ვერ მივიღოღენ.

მას წინ უძღოდა დიდილოგი, რომელიც ალბათ, დაახლოებით ასე წარმართა:

— ბატონო ბუჟინსკი! შეჩვენება, რომ ატომური ომის გარეშე მაინც ვერ გადავრჩებით! ეს კი, ცოტა არ იყოს, ხარისკო საქმეა, ვიდრე, ვთქვათ, ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ საუბარი! — ამზობს ჩაფიქრებული პრეზიდენტი.

— რასაკვირველია, ბატონო პრეზიდენტო! ბირთვული ომი ხუმრობა არ გახლავთ, მაგრამ ფიქრობ, არის გამოსავალი, რათა მსოფლიოს დავანახოთ ბირთვული ომის მთელი საშინელება, რაც თავიდან აგვაცილებს კატასტროფას!

— რა გაქვთ მხედველობაში?
— მოვაწყოთ პატარა ხაჩვენებელი ატომური ომი!

— კი მაგრამ, სად უნდა მოვაწყოთ იგი?
— რა თქმა უნდა, არა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე!

— განა თქვენ ფიქრობთ, რომ რომელიმე ქვეყანა თავის ტერიტორიას დავითმობს საამისოდ?

— არა, მაგრამ, აი, ჩვენი პაკისტანელი მეგობარი! — ია-ულ-ჰაკი დიდად არის დაინტერესებული ატომური სათამაშოთი და, თუკი იგი მას უცებ თავის ჯიბეში აღმოაჩენს, დაუყოვნებლივ ეცდება, გამოცადოს რომელიმე მეზობელი ქვეყნის, დავუშვათ, ინდოეთის ან ავღანეთის ტერიტორიაზე!

— კი მაგრამ, ამ უკანახედილთაც რომ აღმოაჩნდეს იგივე სათამაშო?

— ბატონო პრეზიდენტო! მოგვხსენებათ, ამერიკის კონტინენტს აზიიდან მთელი ოკეანე აშორებს! ასე რომ, იქ აფეთქებული ატომური ბომბი ჩვენთვის საშიში არ არის! სამაგიეროდ, ის, ვინც დღენიადაგ ატომური თავდასხმას აპირებს ჩვენზე, რაშიც ეჭვი არ მეპარება, დარწმუნდება, რომ ატომთან ხუმრობა არ შეიძლება!

— ყველაფერი გახაგებია! თქვენ მსოფლიოს კატასტროფიდან გადაარჩენთ!

— გმადლობთ, ბატონო პრეზიდენტო! შეიძლება, უღრნაღრისტები ვისმო?

— რასაკვირველია! დაე, მსოფლიომ გაიგოს, რომ ჩვენ ვიხსენით იგი!

ჯორჯი

უცხოური იუმორი

ბადის მოზიარა

ვიღაც უბედურს ბრუკლინის ხილიდან გადავარდნა უნდოდა.

— მოიცა, მეგობარო! — შეაჩერა იგი ერთმა გამვლეულმა, — მოდი, მოვილაპარაკოთ, იქნებ გადაიფიქრო?

ნახევარ საათს ისაუბრეს და მერე... ორივე ერთად გადავარდა წყალში.

გამოშუაშუა

— ალბათ, შენს სიცოცხლეში ერთი დოლორიც არ გამოგიშუაშუებია! — უთხრა ზიზღით მოსამართლემ მაწანწალას.

— როგორ არა, სერ, არჩევნებში ხმა თქვენ მოგეცით! — მიუგო მან.

ანონიმური წერილი

ჯომ ერთ დღეს ანონიმური წერილი მიიღო, თუ ჩემი წიწილების მოპარვას თავს არ დაანებებ, ყელს გამოგჭრიო!

დაბნეულმა ჯომ ეს ამბავი პოლიციას შესჩივლა.

— რა გიშველოთ?! — უთხრეს იქ, — გამოსავალი ის არის, წიწილების პარვას თავი დაანებო!

— ვერ გამოვით, — უთხრა ჯომ. — აკი გითხარით, წერილი ანონიმურია-მეთქი.

რა ვიცი, ვისი წიწილების პარვას უნდა დავანებო თავი?!

თავის მართლება

აოლიციელმა მანქანა გზის პირას შეაჩერეს და იქვე მდგომ პატარა ბიჭს ჰკითხეს:

— აქ ახლომახლო თვითმფრინავი ზომ არ დაშვებულა?

— არა, სერ, — მიუგო შემკრთალმა ბავშვმა, — მე მურღული მხოლოდ ყვავს ვესროლე!

გერმანულიდან თარგმნა
შ. ამირანაშვილმა

საბრძოლო და იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“ № 22 (1584) თბილისი გამომდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ გოლძეაძე

საკრებლად
კოლეგია:

ზაზუა ამირაჯიბი
ნოზალი ბარბაქაძე
ზორის გუგუშვილი
ნოდარ ღვინაძე
რევაზ თვარაძე
ჯემალ ლომუა
ნოდარ გალაგონია
(მხატვარი-რედაქტორი)

ზაზუნ სინარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი)

ალექსანდრე სამსონია
ვიკტორ შირვალია
ჯანსუღ ჩარაქიანი
თამაზ წიფიშვილი
ვაჟა ზანიშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე)

ნაფი ჯუსოტი

ტექნიკური რედაქტორი
მინილ კახალაშვილი

გადაცემა ასაწყობად
24.10.80 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად
9.11.80 წ.

ქალაქის ზომა 70x108 1/2
ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი 2

სააღრიცხვო-საბამომცემლო
თაბახი 1,7

საქართველოს კბ ცკ-ის
გამომცემლობა,
ლენინის ქ. № 14,

შეკვეთა № 2836. შმ 00782
ტირაჟი 150.950.

ჟურნალი გამოდის
თვეში ორჯერ.

რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩ ვ ე ნ ი მ ი ს ა მ ა რ თ ი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.

ტ მ ლ ე მ ო ნ მ ბ ი: მთავარი
რედაქტორის — 93-62-04, მთ.
რედ. მოადგილის — 93-19-42,

პ/შგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38,

განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი-მემაქანის — 99-76-69.

სатирико-юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке)

Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии

Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137

